# შეხვედრის ადგილის შეცვლა არ შეიძლება



## კლუბი «სარდაფი» - მათთვის, ვისაც ხელოვნება უყვარს

ლელა ოჩიაური

**ახალმა დროებამ საქართველოში ცუდის გარდა კარგიც მოიტანა. არც საზოგადოება შეხვედრია ზოგიერთ სიახლეს, ტრადიციულად, უნდობლობითა და ეჭვით.**

**ჯანსაღი ცხოვრების წესის, სუფთა ჰაერის, სპორტისა და აზარტის მოყვარულები ვაკის პარკში ერთი თვის წინ გახსნილმა გოლფ-კლუბმა მიიზიდა. იქ უკვე არათუ პირველი მოთამაშეები, პირველი ჩემპიონებიც გამოჩნდნენ. ისიც ფაქტია, რომ ვინც ერთხელ ეს „უცხო ხილი" იგემა, სერიოზულად დაავადდა უჩვეულო დაავადებით - „გოლფომანიით". საკლუბო სისტემაც არაა ურთიერთობის ჩვენთვის ჩვეული ფორმა, მით უფრო, როდესაც ის თავის ნამდვილ დანიშნულებას ამართლებს და მხოლოდ „კლუბად" არ იწოდება.**

**გოლფ-კლუბის დაარსებამდე ერთი თვით ადრე კი სხვა მიმართულებისა თუ შინაარსის კიდევ ერთი - ხელოვნების მოყვარულთა კლუბის დაფუძნების მომსწრენი შევიქენით.**

**თუ გოლფ-კლუბის სტუმრები ფიზიკურ ჯანმრთელობას იკაჟებენ, კლუბი „სარდაფი" სულიერი გაჯანსაღებისკენაა მიმართული. არც ისაა ახალი, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული ძევს.**

**„რეზონანსი" შეხვდა მზარდი პოპულარობისა და საოცრად მიმზიდველი კლუბის - „სარდაფის" მენეჯერს მაკა ვასაძეს.**

***„რეზონანსი": ვის დაებადა თქვენი კლუბის შექმნის იდეა?***

***მაკა ვასაძე:*** კლუბ „სარდაფის" დაარსების იდეა კინორეჟისორების - ოთარ შამათავასა და დათო ჯანელიძისგან მოდის.

თავიდან ლაპარაკი კინოკლუბის შექმნაზე იყო. როდესაც ჩვენ თანამშრომლობა შემოგვთავაზეს, ამ იდეას არ დავეთანხმეთ, რადგან კინოკლუბი კონკრეტული და მიზანმიმართული, შეზღუდული დანიშნულების იქნებოდა.

გადავწყვიტეთ, არეალი გაგვეფართოებინა, მოგვეცვა ხელოვნების სფეროები და გაგვეკეთებინა ის, რისი შესაძლებლობაც ამ სივრცეში მოგვეცემოდა. გაგვეერთიანებინა ყველაფერი - იქნებოდა ეს საგამოფენო კედელი, ლიტერატურული შეხვედრები, კინოჩვენებები თუ მუსიკალური საღამოები.

***„რ.": ვინ უდგას კლუბს სათავეში?***

***მ.ვ.:*** დათო ჯანელიძე ჩვენი კლუბის სამხატვრო ხელმძღვანელია.

ნინო გუჯაბიძე და მაცაცო გაბუნია გამოფენებს კურირებენ, მე და თამთა ბერიშვილი მენეჯერები ვართ.

***„რ.": კლუბის სახელწოდება საიდან დაიბადა?***

***მ.ვ.:*** კლუბი „სარდაფი" დავარქვით, რადგანაც „თეატრალური სარდაფის" მეზობლები ვართ და ვართ სარდაფში.

***„რ.": როგორ გეგმავთ შეხვედრებისა თუ საღამოების პროგრამას?***

***მ.ვ.:*** არსებობს საერთო გეგმა, რომლის მიხედვითაც ყოველი პრგორამისთვის თუ ხელოვნების დარგისთვის სპეციალური დღე და დროა გამოყოფილი.

ეს თანდათანობით იგეგმებოდა. თავდაპირველად იყო გამოფენები, კინოჩვენებები ლიტერატურული შეხვედრები.

მერე დადგინდა და დამკვიდრდა, რომ ყოველ სამშაბათს არის პლასტიკის დღე. აქ ჩვენ და კავკასიის კულტურის პროგრამების საერთაშორისო ბიურომ ჩავატარეთ ფესტივალი - „ბოდი ლენგვიჯ" (სხეულის ენა). ხალხს იმდენად მოეწონა, რომ ამის შემდეგ დათო ბუხრიკიძესა და გია მარღანიას კასეტები მოაქვთ და პლასტიკის, ცეკვის შესახებ ფილმებს უჩვენებენ.

ყოველი ხუთშაბათი ლიტერატურის დღეა, რომელსაც დათო ტურაშვილი უძღვება.

შაბათობით დათო ჯანელიძე ფილმებს წარმოადგენს.

კვირაში ერთხელ გამოფენები იხსნება. კვირაობით კი პიანისტი მარიკა მანაგაძე კლასიკური მუსიკის საღამოებს ატარებს.

***„რ.": მარიკა, რა მნიშვნელობა აქვს კლუბ „სარდაფს" პირადად თქვენთვის და კლასიკური მუსიკისათვის?***

***მარიკა მანაგაძე:*** როგორც მაკამ თქვა, კლასიკური მუსიკის საღამოები ყოველ კვირას ტარდება.

მე წარმოდგენა არ მქონდა (სანამ ფაქტს არ შევეხე), რომ ხალხს კლასიკური მუსიკა აინტერესებს.

მართლაც, საოცარი ყურადღებით ისმენენ და მთხოვენ, კიდევ განმეორდეს. ძალიან კმაყოფილი ვარ, მეც და ის ახალგაზრდებიც, რომლებიც ამ საღამოებში მონაწილეობენ.

თბილისში არსებული საკონცერტო დარბაზებში ახალგაზრდების მოხვედრა რთულია. აქ კი ისინი თავისუფლად გრძნობენ თავს, რასაც მათი დაოსტატებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

***„რ.": შემსრულებლებსა და რეპერტუატრს ვინ არჩევს და რისი მიხედვით ხდება ეს შერჩევა?***

***მ.მ.:*** მე კონსერვატორიაში ვმუშაობ და ყველა ახალგაზრდა მუსიკოსს კარგად ვიცნობ. ასე რომ, იმის განსაზღვრა, თუ ვინ და რა უნდა შეასრულოს, თავისუფლად შემიძლია.

კრიტერიუმი კი, რა თქმა უნდა, ხარისხია.

***„რ.": მაკა! თქვენ ალბათ აკვირდებით, თუ ვინ დადის ძირითადად „სარდაფში" გამართულ საღამოებზე?***

***მ.ვ.:*** სხვათა შორის, უკვე ერთი და იგივე, ნაცნობ სახეებს ვხედავ. მაგრამ ბევრი ახალი ადამიანიც მოდის, არც ასაკია შეზღუდული. თავიდან უფრო ახალგაზრდები იკრიბებოდნენ, ახლა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებია.

***„რ.": რას ნიშნავს იყო კლუბის წევრი?***

***მ.ვ.:*** ჯერჯერობით, კლუბში მსურველებს ერთი თვით ვაწევრიანებთ. შემდეგ ისინი იცვლებიან. ამისთვის თვეში ათი ლარის გადახდაა საჭირო, რაც თითოეულ მათგანს ერთი ადამიანის შემოყვანის უფლებას აძლევს ნებისმიერ საღამოზე, რომელთა შესახებაც მათ სრულ ინფორმაციას ვაწვდით.

***„რ.": ამავე დროს, საღამოებზე დასწრება ფასიანია.***

***მ.ვ.:*** ამის გაკეთება არ გვინდოდა, მაგრამ გარემოებამ (რათა კლუბს კლუბის სახე არ დაეკარგა) გვაიძულა, მინიმალური გადახადი (სტუდენტებისათვის - ლარი, უფროსებისათვის - ორი) დაგვეწესებინა.

ეს ერთგვარად, წესრიგის დაცვის საშუალებასაც გვაძლევს და სიწყნარის შენარჩუნებასაც, შედარებით, ვახერხებთ.

გარდა ამისა, თანხა მაგალითად, მწერლების წიგნების გამოცემასაც მოხმარდება.

***„რ.": თქვენ თუ გეხმარებათ ვინმე?***

***მ.ვ.:*** თუ არ ჩავთვლით, რომ თეკა კახიძემ და თამუსია ბერიძემ მუსიკალური ცენტრიდან კომპაქტდისკები გვაჩუქეს, ვიღაცამ კი კიდევ რაღაც მოიტანა, დახმარებით არავინ გვეხმარება, მაგრამ არც ხელს არ გვიშლის.

***„რ.": რამ გაიძულათ, შიშველი ხელებით ამ მძიმე დროში, ასეთი რთული საქმისთვის მოგეკიდათ ხელი?***

***მ.ვ.:*** არ ვიცი, შეიძლება ვცდები, მაგრამ თბილისში არ მეგულება ადგილი, სადაც ადამიანებს, ვისაც ხელოვნება უყვარს, ხელოვნებასთან ყოველდღიური შეხვედრის საშუალება თავისუფლად ჰქონდეთ. გარდა ამისა, ესაა, უბრალოდ, საზოგადოების თავშეყრის ადგილი, რომელიც ასევე გვჭირდება.

# ამბები

☺ 😐 ☹

გასულ კვირას ერთ-ერთი ცენტრალური თემა ჩვენს ქვეყანაში იყო (და დღესაც არის) რუსეთის მიერ შეთავაზებული „ნულოვანი ვარიანტი", როგორც ყველაზე „უმტკივნეულო" გადაჭრა იმ საკითხისა, რომელიც დაკავშირებულია ვალების გასტუმრებას და სიმდიდრის განაწილებასთან (ფულადი თანხების სახით). მხარდამჭერები და მოწინააღმდეგეები დღესაც განაგრძობენ დებატებს.

ამასთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანაში ახლახან შეიქმნა პარტია - „მარშალი და ჩვენ", რომელიც წარმოადგენს ბიზნესმენების, ანუ ჩვენი ქვეყნის და ხალხის ინტერესებს. ცნობილია, რომ წარმატებას ქვეყნის განვითარებაში, აყვავებაში განაპირობებს კაპიტალის დაგროვება და კონცენტრაცია შესაბამის ამყვავებელ სფეროებში. და სწორედ ბიზნესმენებს, რომლებმაც აიკიდეს ეს ყველაზე მძიმე ტვირთი, სჭირდებათ ყველა თანხა, რაც არსებობს საქართველოში (პენსიების ჩათვლით) და აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ (რაც კი ხელმისაწვდომია). პარტიამ „მარშალი და ჩვენ, „ნულოვანი ვარიანტის" მსგავსად შეიმუშავა „დუბლინული" ვარიანტი, რის თანახმად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ვალი უნდა იყოს გადმოცემული და ჩადებული (წინასწარი გადაყვანით მაყუთში) ჩვენს ბიზნესში. რაც შეეხება საქართველოს ვალებს - ამ საკითხის გადაჭრა უნდა დაეკისროს ხალხს, კერძოდ იმ უმრავლესობას, რომელსაც არ აწევს კისერზე ამ აყვავებული ბიზნესის ტვირთი, არაფერი არ გააჩნია და ამიტომ თავის შრომას მიუძღვნის ვალების გასტუმრებას. მართალია, ეს ნაშრომიც უნდა იყოს გამოყენებული აყვავებაზე ამაყვავებელი ბიზნესის კაპიტალის დამატებითი შევსებით, მაგრამ ადრე თუ გვიან დადგება ის დღე, როცა მშრომელი ადგება ფეხზე (ან დაეხმარებიან ადგომას) და ამაყად დასძახებს - გადახდილია!

☺ 😐 ☹

გუშინ ამერიკის სამთავრობო კომისიამ „AI IA" გადასცა საქართველოს უზენაეს ზესენატს ეკონომიკური ურთიერთობის ახალი მეთოდის პროექტი. ამ პროექტის საწყისი ნაწილი ითვალისწინებს საქართველოს მიერ ზესალი და ზემტკიცე თუჯის მილების გაგზავნას ამერიკაში დახმარების მიზნით. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ, როგორც ცნობილია, საქართველოს ჰყავს უამრავი გარე მტერი. მტრები იტაცებენ ამერიკის მიერ გადმოცემულ ფულად დახმარებებს, სესხებს, ინვესტიციებს და ა.შ. ამ საშინელების თავიდან ასაცილებლად, გათვალისწინებულია ნიუ-იორკი-თბილისი მაყუთსადენის აშენება. სამუშაოები დაიწყება მომავალ თვეში. ნიუ-იორკში გამგზავნი ტერმინალი იქნება განლაგებული ბრუკლინის უბანში ცენტრალური საგიჟეთის ტერიტორიაზე. მიმღები ტერმინალის ადგილმდებარეობა თბილისში უსაფრთხოების მიზნით გასაიდუმლოებულია.

აკუნა მატატაური